ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

სამახსოვრო ინსტრუქცია

(განკუთვნილია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის, მოიცავს ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის მდივნის მიერ კენჭისყრის დღეს განსახორციელებელი საქმიანობის ასპექტებს)

სამახსოვრო ინსტრუქცია განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნებისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება

2023 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები

სარჩევი

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი კენჭისყრის წინა დღეს (30 სექტემბერი, 2023 წელი) **3**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/ კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს (1 ოქტომბერი, 2023 წელი) 9

- კენჭისყრის დღეს 06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების ზოგადი აღწერა 9
- 06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა 11
- კენჭისყრის პროცესის დაწყება (08:00 საათიდან) 23
- კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას, კომისიის წევრების მიერ ფუნქციების განხორციელების პროცესზე ზედამხედველობა/კონტროლი 23
- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის/ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცესი 31
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარება (09:00 საათიდან) 37
- 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 20:00 საათზე კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის/საერთო რაოდენობის დადგენა და ინფორმაციის მიწოდება ზემდგომი საარჩევნო კომისიისთვის 39
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის დასრულება (19:00 საათამდე) და საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის დაბრუნება (20:00 საათამდე) 41
- საარჩევნო უბნის დახურვიდან (20:00 საათიდან) კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე პერიოდში ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების ზოგადი აღწერა 43
- 20:00 საათიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე პერიოდში ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა 45
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა 65
- საოლქო საარჩევნო კომისიისთვის საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის გადაცემა 71



საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის თავმჯდომარის/კომისიის მდივნის უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების სრული სახით გაცნობის მიზნით, იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ცესკოს 2023 წლის 2 აგვისტოს 45/2023 დადგენილება „2023 წლის 1 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური და თვითმმართველი თემის – გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” და ცესკოს შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი
კენჭისყრის წინა დღეს (30 სექტემბერი, 2023 წელი)

1. კენჭისყრის შენობის მოწყობასთან დაკავშირებული უფლება-მოსილებანი:

- პასუხისმგებლობა გეკისრებათ კენჭისყრის შენობის მოწყობისთვის. გაითვალისწინეთ:
  - ☐ უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისათვის და განთავსდეს მაგიდები რეგისტრატორთა რაოდენობის შესაბამისად.
  - ☐ სარეგისტრაციო მაგიდაზე/მაგიდებზე უნდა განთავსდეს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები (ყოველი 700 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის არანაკლებ ერთი აპარატი). საარჩევნო უბანზე ერთზე მეტი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის არსებობის შემთხვევაში, ხდება ვერიფიკაციის აპარატების ერთმანეთთან დაკავშირება (სინქრონიზება) ინტერნეტის გარეშე.
  - ☐ კენჭისყრის შენობაში ყოველი 800 ამომრჩევლისთვის უნდა მოეწყოს არანაკლებ ერთი კენჭისყრის კაბინა, სადაც უნდა იყოს საარჩევნო ბიულეტენის შესავსები სპეციალური მარკერი (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შშმ ამომრჩევლებისთვის ადაპტირებული კენჭისყრის კაბინა).

გაითვალისწინეთ!
ფარული კენჭისყრის კაბინები უნდა მოეწყოს შემდეგნაირად: კენჭისყრის კაბინა ერთი მხრიდან გახსნილი დარჩეს (ამომრჩევლისთვის შესასვლელი) და გახსნილი მხარე მიმართული იყოს კენჭისყრის შენობის კედლისკენ იმდაგვარად, რომ არ დაირღვეს კენჭისყრის ფარულობის პრინციპი.

- ☐ თვალსაჩინო ადგილას უნდა დაიდგას არანაკლებ ორი ძირითადი საარჩევნო ყუთი, რომელზეც კენჭისყრის დღეს დადგენილი წესით მონტაჟდება ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატები. საარჩევნო ყუთებთან ახლოს უნდა დაიდგას მაგიდა, რომელზეც ამომრჩეველი ხმის მიცემის შემდეგ განათავსებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტს.
- ☐ უნდა გამოიყოს ადგილი ფოტოვიდეოგადაღებისთვის (მიზანშეწონილია გამოიკრას წარწერა - ფოტოვიდეოგადაღების ადგილი).

■ კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:

- ☐ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- ☐ ამომრჩეველთა სპეციალური სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- ☐ კანდიდატთა სიები;
- ☐ ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი;
- ☐ ამონარიდი საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი"თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
- ☐ კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი;
- ☐ თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება აღნიშნულის შესახებ კენჭისყრის შენობასა და ფარული კენჭისყრის კაბინებში.

2. საარჩევნო დოკუმენტაციის/ინვენტარის მიღებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი:

გახსოვდეთ, კენჭისყრის დაწყებამდე არაუგვიანეს 12 საათისა საოლქო საარჩევნო კომისიისგან უნდა მიიღოთ:

- ☑ საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიები (სამაგიდო სია ფოტოსურათებით);
- ☑ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები, რომლებშიც ჩატვირთულია შესაბამისი საარჩევნო უბნის საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სია (სია ფოტოსურათებით), ასევე ამომრჩეველთა სპეციალური სია (არსებობის შემთხვევაში);
- ☑ ძირითად საარჩევნო ყუთებზე დასამონტაჟებელ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატები;
- ☑ პლანშეტური კომპიუტერი;
- ☑ 50-50 ცალად შეფუთული საარჩევნო ბიულეტენები და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტები;
- ☑ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ თავმჯდომარის მოადგილის/კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს (1 ოქტომბერი, 2023 წელი)

კენჭისყრის დღეს 06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების ზოგადი აღწერა

გაითვალისწინეთ!
საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე (06:45 საათიდან 08:00 საათამდე) ჩასატარებელი პროცედურების ორგანიზებულად წარმართვა უკავშირდება ქვემოთ მოყვანილი ძირითადი აქტივობების განხორციელებას:

- ✔ უბნის გახსნა და საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმირება;
- ✔ სააკრედიტაციო მოწმობების შემოწმება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უბანზე დასაშვებად, ჩანაწერთა წიგნში რეგისტრაციის უზრუნველყოფა;
- ✔ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება;
- ✔ მონაცემების გამოცხადება (მიღებული საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური ჩარჩო - კონვერტებისა და ყველა სახის სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა);
- ✔ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გააქტიურება, საწყისი ანგარიშებისა და ამომრჩეველთა სიის ამობეჭდვის უზრუნველყოფა;
- ✔ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გააქტიურება და ნულოვანი ამონაწერის ამობეჭდვის უზრუნველყოფა;
- ✔ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ფუნქციის შესაბამისად მასალების გადაცემა.

06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურების განხორციელებისთვის, ასევე ხმის მიცემის პროცესის მიმდინარეობისას (08:00 საათიდან 20:00 საათამდე) იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემული დეტალური აღწერით.

06:45 საათიდან 08:00 საათამდე ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა

- ☐ 06:45 საათზე გახსენით საარჩევნო უბანი, ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას საარჩევნო უბნის გახსნისა და კომისიის წევრთა კვორუმის (9 წევრი) თაობაზე.

გაითვალისწინეთ!
თუ ამ დროისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა ცხრაზე ნაკლები აღმოჩნდა, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

- ☐ გადაეცით **კომისიის მდივანს** კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი, სარეგისტრაციო ჟურნალი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი და სადემონსტრაციო ოქმი (იკვრება თვალსაჩინო ადგილას).
- ☐ შეამოწმეთ კენჭისყრის შენობაში მყოფი უფლებამოსილი პირების სააკრედიტაციო მოწმობები (ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად). გახსოვდეთ, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირებს.
- ☐ ყველას დასანახად შეამოწმეთ იმ პაკეტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია კომისიის სპეციალური ბეჭედი და გახსენით ის. **კომისიის მდივანს** ბეჭდის ნომერი შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.
- ☐ ჩაატარეთ წილისყრა კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გასანაწილებლად.

გაითვალისწინეთ!
წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი.

სპეციალური ჩარჩო-კონვერტების დანიშნულებისამებრ გამოყენებას, საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველობას ახორციელებს საუბნო საარჩევნო **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე** ან, აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის დავალებით, კომისიის სხვა წევრი.

პირველ რიგში, ჩაატარეთ წილისყრა ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების გამოსავლენად (არანაკლებ ერთი რეგისტრატორი ყოველ 700 ამომრჩეველზე). ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის გამოსავლენად ჩასატარებელ წილისყრაში არ მონაწილეობენ პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები. **კომისიის მდივანს** წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

ყურადღება!
თუ წილისყრაში მონაწილე საოლქო საარჩევნო **კომისიის მიერ არჩეულ კომისიის წევრთა რაოდენობა შეესაბამება** წილისყრით გამოსავლენ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრთა რაოდენობას, წილისყრა არ ტარდება და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ კომისიის წევრებს ავტომატურად მიენიჭებათ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქცია.

თუ წილისყრაში მონაწილე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ **კომისიის წევრთა რაოდენობა აღემატება** წილისყრით გამოსავლენ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრთა რაოდენობას, მაშინ ამომრჩეველთა რეგისტრატორები გამოვლინდებიან წილისყრით.

თუ წილისყრაში მონაწილე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ კომისიის წევრთა რაოდენობა აღმოჩნდება წილისყრით გამოსავლენ ამომრჩეველთა რეგისტრატორი **კომისიის**

წევრთა რაოდენობაზე ნაკლები, წილისყრა არ ტარდება, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ კომისიის წევრებს ავტომატურად მიენიჭებათ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქცია და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციის შესრულებას ავალებს საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა წევრს/წევრებს.

- ☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს, კენჭისყრის დღემდე წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრების და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული სპეცჯგუფის (ასეთის არსებობისას) წევრების მონაცემები შეიტანოს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. კომისიის მდივანმა უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული ფუნქციის წილისყრით განაწილების შედეგების ამსახველი აქტით.

გაითვალისწინეთ!

თუ წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრი ან სპეცჯგუფის წევრი უარს განაცხადებს მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის ფუნქციის შესრულებას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ავალებს კომისიის სხვა წევრს.

ამასთან, წილისყრით გამოვლენილი გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრი, რომელმაც უარი განაცხადა მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, კარგავს კომისიის წევრთა სხვა ფუნქციის გასანაწილებლად საარჩევნო უბნის გახსნისას ჩასატარებელ წილისყრაში მონაწილეობის უფლებას. მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხი გადაწყვიტეთ საჭიროებიდან გამომდინარე.

- ☐ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების გამოვლენის შემდეგ, ჩაატარეთ მორიგი წილისყრა, რომლითაც შეირჩევა კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი. **კომისიის მდივანს** წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

გაითვალისწინეთ!
თუ კომისიის რომელიმე წევრი კომისიაში წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ გამოცხადდა, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხი გადაწყვიტეთ საჭიროებიდან გამომდინარე.

- ☐ გამოაცხადეთ ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **კომისიის მდივანს** მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში (სადემონსტრაციო ოქმსა და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა შეიტანება კენჭისყრის დასრულების შემდგომ).
- ☐ გამოაცხადეთ მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტების რაოდენობები. **კომისიის მდივანს** მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა შეაქვს სადემონსტრაციო ოქმში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.
- ☐ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გააქტიურებამდე შეამოწმეთ შესაძლებელია თუ არა ამ აპარატების სპეციალური ინდივიდუალური კოდის/პაროლის შეყვანის გარეშე გააქტიურება.

გაითვალისწინეთ!
ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გააქტიურება და ამ აპარატებიდან საწყისი ანგარიშების ამობეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნულ აპარატებში სპეციალური ინდივიდუალური კოდის/პაროლის შეყვანის შემდეგ.

- ☐ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებში გააააქტიურეთ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცესი და თითოეული აპარატიდან ამობეჭდეთ საწყისი ანგარიში. ამობეჭდილი საწყისი ანგარიშები გადაეცით **კომისიის მდივანს** შესანახად.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფების N1, N2 და N3-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნებს (აუდიტის დადასტურების ფორმა დამტკიცებულია ცესკოს 2023 წლის 2 აგვისტოს №165/2023 განკარგულებით).

- ☐ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებში ვერიფიკაციის პროცესის გააქტიურების შემდეგ, ამომრჩეველთა **ერთ-ერთ რეგისტრატორს** მიეცით მითითება, რომ მისთვის გადაცემული ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდოს ამომრჩეველთა სია. ამობეჭდილი სია გამოაკარით თვალსაჩინო ადგილას სადემონსტრაციო ოქმთან ერთად.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N4-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

- ☐ შეამოწმეთ, რომ საარჩევნო ყუთები იყოს ცარიელი. ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქებით დალუქეთ ძირითადი საარჩევნო ყუთები და გადასატანი საარჩევნო ყუთი (არსებობის შემთხვევაში). ძირითად საარჩევნო ყუთებზე დაამონტაჟეთ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატები. **კომისიის მდივანს** საარჩევნო ყუთის ლუქების ნომრები და დალუქვის დრო შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N5-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

- ☐ საარჩევნო ყუთების დალუქვის შემდეგ, თითოეული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდეთ დასტური („ნულოვანი ამონაწერი“), რომ იმ დროისთვის ამომრჩევლებს ხმა არ მიუციათ. მდივანთან ერთად ხელმოწერით დაადასტურეთ ამონაწერები და გადაეცით **კომისიის მდივანს** შესანახად.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N6-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

- ☐ **კომისიის მდივანთან** ერთად კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე ხელმოწერით დაადასტურეთ ცარიელი ყუთების

დალუქვის ფაქტი და ამონაწერში მოცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იმ მომენტისათვის აპარატის საშუალებით არცერთ ამომრჩეველს არ მიუცია ხმა.

- ☐ იმ მიზნით, რომ გადაამოწმოთ, ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი იღებს თუ არა საარჩევნო ბიულეტენს სპეციალური შტრიხკოდისა და ინდივიდუალური QR-კოდის გარეშე, აღნიშნულ აპარატებში მოათავსეთ სპეციალური შტრიხკოდისა და ინდივიდუალური QR-კოდის გარეშე საარჩევნო ბიულეტენის ფორმატის ქაღალდი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N7-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

- ☐ თითოეულ ამომრჩეველთა რეგისტრატორს გადაეცით:
  - 50 ცალი საარჩევნო ბიულეტენი;
  - საარჩევნო ბიულეტენის შესავსები სპეციალური მარკერი (ამომრჩევლისთვის საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესის განმარტების პროცესში საარჩევნო ბიულეტენზე ამომრჩევლის მიერ საცდელი წრის გაფერადების მიზნით);
  - ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტები;
  - მარკირების სითხე;
  - საწერკალმები (ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნით);
  - ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი ინდივიდუალურის ნომრის მქონე ლუქებით დალუქული გაუმჭვირვალე ყუთი (გადაცემამდე უნდა დალუქოთ აღნიშნული ყუთი).

კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე შეაქვს ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მო-

სათავსებლად განკუთვნილი დალუქული ყუთების ლუქების ინდივიდუალური ნომრები, რეგისტრატორების სახელი, გვარი, რომლებსაც გადაეცათ აღნიშნული ყუთები. ყუთის მიღებას შესაბამისი **რეგისტრატორი ადასტურებს ხელმოწერით.**

გაითვალისწინეთ!

✔ რეგისტრატორებმა უნდა გადაამოწმონ საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სიზუსტე, რის შემდეგაც რეგისტრატორებთან ერთად ხელი უნდა მოაწეროთ ბიულეტენების მიღება-ჩაბარების აქტზე.

✔ ერთ-ერთი რეგისტრატორის მაგიდაზე განათავსეთ გამადიდებელი ლინზა მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის, ასევე, უსინათლო ამომრჩევლებისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

☐ ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადაეცით მარკირების შესამოწმებელი ულტრაიისფერი ფარანი.

☐ საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველ საუბნო საარჩევნო **კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს/კომისიის სხვა წევრს** მიუთითეთ დაიკავოს ადგილი ძირითად საარჩევნო ყუთსა და ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ მთვლელ აპარატთან.

კენჭისყრის პროცესის დაწყება (08:00 საათიდან)

☐ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი იწყება 08:00 საათიდან. პირველი ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ ტელეფონით შეატყობინეთ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დაწყების შესახებ.

კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას, კომისიის წევრების მიერ ფუნქციების განხორციელების პროცესზე ზედამხედველობა/კონტროლი

კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას, კომისიის წევრების მიერ ფუნქციების განხორციელების პროცესზე ზედამხედველობის/კონტროლის მიზნით, გაითვალისწინეთ:

- ☐ შშმ ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტის, ქცევის ნორმების დაცვისა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით კომისია ხელმძღვანელობს ინსტრუქციაში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“ მოცემული რეკომენდაციებით - ინსტრუქცია შემუშავებულია ცესკოს, სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ერთობლივი თანამშრომლობით.

- ☐ თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. კომისიის მდივანს ამომრჩევლის ვინაობა შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

- ☐ ამომრჩეველთა რეგისტრატორი საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას (ID ბარათი) ატარებს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის წამკითხველში (მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობის წაკითხვადი ზონა).

ყურადღება!

თუ ამომრჩეველი ამომრჩეველთა რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის არაელექტრონულ პირადობის მოწმობას, ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს, ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამომრჩევლის მონაცემთა ძებნას აპარატში ახორციელებს ხელით.

- ☐ თუ ვერიფიკაციის აპარატის მიერ ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის შემოწმებისას დადასტურდა, რომ წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები შეესაბამება ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატში ჩატვირთულ ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩეველთა რეგისტრატორმა ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, მან უნდა მოგმართოთ თქვენ აღნიშნული შეუსაბამობის თაობაზე.

ყურადღება!

თუ დაადასტურებთ შეუსაბამობას, მიუთითეთ **კომისიის მდივანს**, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით). ეს ჩანაწერი **კომისიის მდივანთან ერთად** დაადასტურეთ ხელმოწერით.

თუ არ დაადასტურებთ შეუსაბამობას, ამომრჩეველთა **რეგისტრა-**

ტორს უფლება აქვს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ჩაწეროს თავისი განსაკუთრებული აზრი. **კომისიის მდივანმა** კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა გააკეთოს შესაბამისი ჩანაწერი (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით). ეს ჩანაწერი **რეგისტრატორმა** და **კომისიის მდივანმა** უნდა დაადასტურონ ხელმოწერებით.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში **კომისიის მდივანმა** კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს უნდა დაურთოს მისი ხელმოწერით დადასტურებული ამომრჩევლის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი.

პროცედურების შესრულების შემდეგ **ამომრჩეველს მიეცით კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.**

- ☐ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებული ამომრჩეველი შეყვანილია გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, ან სხვა უბნისთვის განკუთვნილ სპეციალურ სიაში, მას საარჩევნო უბანში აეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა.
- ☐ თუ ვერიფიკაციის აპარატი დააფიქსირებს, რომ კენჭისყრის შენობაში ხმის მისაცემად გამოცხადებულ ამომრჩეველს უკვე აქვს მონაწილეობა მიღებული კენჭისყრაში, მას აეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა.
- ☐ ვერიფიკაციის აპარატის მიერ ამომრჩევლის მონაცემთა შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, ამომრჩეველთა რეგისტრატორი ვერიფიკაციის აპარატიდან ბეჭდავს ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარს, რომელზეც ხელს აწერს ამომრჩეველი. აღნიშნულ ქვითარს რეგისტრატორი ათავსებს სარეგისტრაციო მაგიდაზე განთავსებულ გაუმჭვირვალე დალუქულ ყუთში.

ყურადღება!

თუ ვერიფიკაციის აპარატიდან არ ამოიბეჭდება ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითარი ან ამოიბეჭდება ტექნიკური წუნით, ამ შემთხვევაში კომისიის მდივანს მიუთითეთ ჩანაწერთა წიგნს დაურთოს შესაბამისი ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი. ამომრჩეველი ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრის ნაცვლად ხელს აწერს შესაბამის აქტს, რომელსაც ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ათავსებს ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრებისთვის განკუთვნილ ყუთში.

- ☐ თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, ამომრჩეველთა რეგისტრატორს მიეცით მითითება, რომ ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური ჩარჩო-კონვერტი ახლით. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოაჭერით კუთხე, დააწერეთ „გაფუჭებულია“, ხელი მოაწერეთ და ცალკე შეინახეთ. ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრს მიუთითეთ, ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური ჩარჩო კონვერტი ახალი საარჩევნო ბიულეტენით/სპეციალური ჩარჩო კონვერტით.

- ☐ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, ყურადღება მიაქციეთ, რომ კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად არ იქნას მიწვეული საარჩევნო კომისიის წევრი, კანდიდატი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელი და დამკვირვებელი. ამომრჩევლისთვის დახმარების აღმოჩენა შეუძლია ნებისმიერ პირს, გარდა ზემოთ აღნიშნული პირებისა.

- ☐ თუ კენჭისყრის შენობაში გამოცხადდა ფიზიკური მდგომარეობის მქონე ამომრჩეველი (ზედა კიდურების არქონა), ამ შემთხვევაში შეახსენეთ ნაკადის მომწესრიგებელს, რომ ასეთი ამომრჩეველი არ გადის მარკირების შემოწმების პროცედურას, ასევე შეახსენეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, რომ ასეთ ამომრჩეველს არ უკეთდება მარკირება.

- ☐ თუ ამომრჩეველი ფიზიკური მდგომარეობის გამო (ზედა კიდურების არქონა) ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, ამ შემთხვევაში შეახსენეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, რომ ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისას ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელ ქვითარზე „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთოს ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნული ჩანაწერი ხელმოწერით დაადასტუროს.

- ☐ ყურადღება მიაქციეთ, რომ **ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე პასუხისმგებელმა კომისიის წევრმა** ამომრჩევლის მიერ გამოყენებული სპეციალური ჩარჩო-კონვერტები დროულად გადასცეს რეგისტრატორებს, რათა არ შეფერხდეს კენჭისყრის პროცესი.

- ☐ თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს, შესაძლებელია მისი ხელმეორედ მოთავსება ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში. საარჩევნო ბიულეტენის კვლავ დაბრუნების შემთხვევაში, იგი ჩაითვლება გაფუჭებულად. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, გადაიკეცება და შეიკვრება ლითონის შემკერით („სტეპლერით") იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა, დაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება. კომისიის თავმჯდომარის დავალებით რეგისტრატორი ვალდებულია შეუცვალოს ამომრჩეველს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი ახალი საარჩევნო ბიულეტენით.

> კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით ძირითად საარჩევნო ყუთში ისე უნდა მოთავსდეს, რომ ბიულეტენის წინა მხარე მოექცეს ქვემოდან.

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის/ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცესი

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის/ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცესის მიმდინარეობისას გაითვალისწინეთ:

- ☐ იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ხარვეზის გამო შეფერხდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატით/ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატით კენჭისყრის პროცესი, იღებთ გადაწყვეტილებას კენჭისყრის პროცესის დროებით შეჩერების შესახებ. ინფორმაცია დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

გაითვალისწინეთ!

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ერთზე მეტი სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენებით და ტექნიკური ხარვეზის გამო ფუნქციონირება შეწყვიტა მხოლოდ ნაწილმა, ასეთ შემთხვევაში კენჭისყრის პროცესი გაგრძელდება დანარჩენი ფუნქციონირებადი ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის/აპარატების გამოყენებით.

- ☐ თუ შეუძლებელი გახდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებით ან ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატებით კენჭისყრის გაგრძელება, კომისია ადგენს აქტს შესაბამისი აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე. **კომისიის მდივანს** შესაბამისი ჩანაწერი შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის 32-ე გვერდზე.

გაითვალისწინეთ!

ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების მიზნით, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების თანდასწრებით, მოხსენით აპარატები ძირითადი საარჩევნო ყუთებიდან, რომლებსაც აქვთ საარჩევნო ბიულეტენის მოსათავსებლად სპეციალური ჭრილი (ამომრჩეველს შესაძლებლობა აქვს საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს პირდაპირ საარჩევნო ყუთში).

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების შემთხვევაში, შესაბამის ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს გადაეცით საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა სიები (სამაგიდე სია ფოტოსურათებით); ერთ-ერთ რეგისტრატორს აგრეთვე გადაეცით ამომრჩეველთა სპეციალური სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საჭიროების შემთხვევაში, თქვენი დავალებით საარჩევნო კომისიის წევრი/წევრები ასრულებს/ასრულებენ ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციას. რეგისტრატორების მაგიდასთან უნდა გამოიკრას რეგისტრატორების მაგიდაზე განლაგებული ამომრჩეველთა სიების შესაბამისად ამომრჩეველთა გვარების ანბანური და ამომრჩეველთა ნომრების თანმიმდევრობა.

ამასთან, მიუთითეთ ნაკადის მომწესრიგებელს, ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში შემოუშვას თუ ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

- ☐ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების შემთხვევაში, ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი ამომრჩეველთა რეგისტრაციას ახორციელებს შემდეგი წესის დაცვით:

- ✔ სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ✔ ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათის და ამომრჩევლის სახის ერთმანეთთან შესაბამისობას;
- ✔ ამოწმებს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ან საქართველოს მოქალაქის პასპორტში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისობას ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან;
- ✔ ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემების შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს მის მარკირებას;
- ✔ ხელს აწერს ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში და მიუთითებს ამომრჩეველს, საარჩევნო ბიულეტენის მიღება ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით დააფიქსიროს რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული კალმისტრით, რის შემდეგაც ამომრჩეველს გადასცემს საარჩევნო ბიულეტენს და ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტს.

ყურადღება!

თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველს, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, უნდა მიეთითოს, ხელი მოაწეროს იმავე გრაფაში. ამასთან, მიუთითეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, აღნიშნულის თაობაზე დაწეროს ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის სახელის, გვარის და ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომრის მითითებით).

თუ ამომრჩეველი ფიზიკური მდგომარეობის გამო (ზედა კიდურების არქონა) ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას, ამ შემთხვევაში შეახსენეთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს, რომ ამომრჩევლისათვის საარჩევნო ბიულეტენის გადაცემისას შესაბამისი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთოს ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნული ჩანაწერი ხელმოწერით დაადასტუროს.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარება (09:00 საათიდან)

- ☐ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრა იწყება 09:00 საათიდან. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის ჩატარებაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრებს/სპეცჯგუფის წევრებს გადაეცით:
  - დალუქული გადასატანი საარჩევნო ყუთი;
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;
  - საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;
  - საარჩევნო ბიულეტენის შესავსები სპეციალური მარკერები;
  - ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტები (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ამომრჩევლების რაოდენობის შესაბამისად);
  - კალმისტრები (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნებისთვის);
  - ლითონის სამაგრები (ლითონის სამაგრით მაგრდება სპეციალურ ჩარჩო-კონვერტი, მასში ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების შემდგომ. ასეთი ფორმით თავსდება სპეციალურ ჩარჩო-კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში);
  - მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერი ფარანი;
  - მარკირების სითხე;
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის ლუქი (გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი ილუქება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის დასრულების შემდგომ).

კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე შეაქვს გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისთვის/სპეცჯგუფისთვის გადაცემული საარჩევნო ბიულეტენებისა და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტების რაოდენობა, ასევე გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბნიდან წაღების დრო.

10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 20:00 საათზე კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის/საერთო რაოდენობის დადგენა და ინფორმაციის მიწოდება ზემდგომი საარჩევნო კომისიისთვის

კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობისა და კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დადგენის მიზნით 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 20:00 საათზე, ამომრჩეველთა **ერთ-ერთ რეგისტრატორს** მიუთითეთ, მისთვის გადაცემული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდოს ანგარიში.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N8, N9, N10, N11 და N12-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

გაითვალისწინეთ!

შესაბამისი პერიოდისთვის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობისა და კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დადგენის მიზნით, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილ ანგარიშში მითითებულ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას ემატება ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (ასეთის არსებობისას) ხელმოწერების ჯამი.

თუ საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი გაგრძელდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გარეშე და ვერც ერთი ვერიფიკაციის აპარატიდან ვერ ხერხდება ანგარიშის ამობეჭდვა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ, ერთჯერადად გახსენით ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი გაუმჭვირვალე დალუქული ყუთები, დაითვალეთ მათში მოთავსებული ქვითრების რაოდენობა, მიუთითეთ **კომისიის მდივანს** ჩაინიშნოს აღნიშნული მონაცემი. ამის შემდეგ, ქვითრები ხელახლა მოათავსეთ აღნიშნული დოკუმენტაციისთვის განკუთვნილ გაუმჭვირვალე ყუთებში და დალუქეთ ყუთები. შემდგომ ეტაპზე კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობისა და კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დადგენა განახორციელეთ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილ ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით.

საუბნო საარჩევნო **კომისიის მდივანი** კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმსა და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში, 12:00 და 17:00 საათის მდგომარეობით, უთითებს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას.

10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 20:00 საათზე დათვლილი მონაცემები, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელთ არსებული პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით აცნობეთ ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიას.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის დასრულება (19:00 საათამდე) და საარჩევნო უბანზე გადასატანი საარჩევნო ყუთის დაბრუნება (20:00 საათამდე)

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა სრულდება არაუგვიანეს 19:00 საათისა, გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20 საათისა.

გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანში დაბრუნებისთანავე მიუთითეთ **კომისიის მდივანს** შეამოწმოს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ხელმოწერების, გამოუყენებელი ან/და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სისწორე. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა/სპეცჯგუფის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით. **ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები გაითვალისწინეთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსებისას.**

გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭერით კუთხე, დააწერეთ გაფუჭებულია და ხელი მოაწერეთ. **კომისიის მდივანს,** ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, ასევე საარჩევნო უბანში საარჩევნო ყუთის დაბრუნების დრო შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

ყურადღება!

თუ საარჩევნო უბანში გამოყენებულია ერთზე მეტი გადასატანი საარჩევნო ყუთი, მიუთითეთ სპეცჯგუფის წევრებს, კენჭისყრის შენობაში დარჩნენ გადასატანი საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენების ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში დადგენილი წესით მოთავსების პროცედურის დასრულებამდე.

საარჩევნო უბნის დახურვიდან (20:00 საათიდან) კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე პერიოდში ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების ზოგადი აღწერა

გაითვალისწინეთ!
საარჩევნო უბნის დახურვიდან (20:00 საათიდან) კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურების ორგანიზებულად წარმართვა უკავშირდება ქვემოთ მოყვანილი ძირითადი აქტივობების განხორციელებას:

- ✔ საარჩევნო უბნის დახურვა;
- ✔ ვერიფიკაციის აპარატებში ვერიფიკაციის პროცესის დასრულება;
- ✔ გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით ძირითად საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენების მოთავსება;
- ✔ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერის ბეჭდვა და საჯაროობა;
- ✔ საარჩევნო უბნის მოწყობა ხმის დათვლის პროცედურისთვის;
- ✔ წილისყრით მთვლელების გამოვლენა;
- ✔ ხმის დათვლის პროცესში დამკვირვებლებისგან გამოვლენილი მეთვალყურეების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ✔ მთვლელების მიერ ძირითადი საარჩევნო ყუთების გახსნამდე შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვა;
- ✔ ძირითადი საარჩევნო ყუთების გახსნა;
- ✔ მთვლელების მიერ ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნის შემდგომ საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება, დათვლა და დალუქვა.

20:00 საათიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე ჩასატარებელი პროცედურების განხორციელებისთვის იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემული დეტალური აღწერით.

20:00 საათიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე პერიოდში ჩასატარებელი ძირითადი აქტივობების დეტალური აღწერა

- ☐ 20:00 საათზე კენჭისყრა დასრულებულად გამოაცხადეთ. დაავალეთ კომისიის ერთ-ერთ წევრს, დაითვალოს რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **კომისიის მდივანს** აღნიშნული მონაცემი შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. კენჭისყრის დასრულების შემდეგ დახურეთ საარჩევნო უბნის კარი.

- ☐ უზრუნველყავით, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს კენჭისყრის შენობა. მიუთითეთ **კომისიის მდივანს** კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის 26-ე და 27-ე გვერდებზე შეიტანოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფი პირების მონაცემები.

გაითვალისწინეთ!
კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ კენჭისყრის შენობაში შესვლისა და კენჭისყრის შენობის დატოვების უფლება აქვთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს.

- ☐ დალუქეთ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების მოსათავსებლად განკუთვნილი გაუმჭვირვალე ყუთების ჭრილი.

- ☐ კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, **ერთ-ერთ რეგისტრატორს** დაავალეთ მისთვის გადაცემული ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდოს საბოლოო ანგარიში. ამობეჭდილი საბოლოო ანგარიში გადაეცით **კომისიის მდივანს** შესანახად.

  კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N12-ის (20 სთ. აქტივობა დადგენილია) გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

- ☐ ვერიფიკაციის ყველა აპარატში დაასრულეთ ვერიფიკაციის პროცესი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N13-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

- ☐ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელთ არსებული პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიას აცნობეთ კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, მათ შორის კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა გენდერული მონაცემები. **კომისიის ერთ-ერთ წევრს** დაავალეთ კენჭისყრის დღეს შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის სტატისტიკის ცხრილის შევსება. სტატისტიკის წარმოება ხორციელდება შშმ ამომრჩევლის მხოლოდ ვიზუალური შეფასებით.

ყურადღება!
კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დადგენის მიზნით, ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილ ანგარიშში მითითებულ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას ემატება ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (ასეთის არსებობისას) ხელმოწერების ჯამი.

- ☐ შეამოწმეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ლუქების მთლიანობა.

ყურადღება!
იმ შემთხვევაში, თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (აღნიშნული ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობეთ საოლქო საარჩევნო კომისიას). წინააღმდეგ შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთი დალუქეთ და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცით საოლქო საარჩევნო კომისიას.

- ☐ თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევა არ გამოვლინდა, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენები ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მეშვეობით ერთ-ერთ ძირითად საარჩევნო ყუთში მოათავსეთ იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა.

ყურადღება!

ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გამოყენების გარეშე ხმის მიცემის პროცედურის წარმართვის შემთხვევაში, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ ერთ-ერთ ძირითად საარჩევნო ყუთში სპეციალური ჭრილის საშუალებით იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა და დალუქეთ ძირითადი საარჩევნო ყუთის სპეციალური ჭრილი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N14-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.

გაითვალისწინეთ!

1. თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან აბრუნებს გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ საარჩევნო ბიულეტენს, ასეთი საარჩევნო ბიულეტენი ცალკე დაიდება იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის დანახვა და შემდგომ შეერევა ძირითადი საარჩევნო ყუთებიდან დათვლის მიზნებისთვის ამოღებულ საარჩევნო ბიულეტენებს.

2. თუ გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი, ცალკე დაიდება (ასეთ საარჩევნო ბიულეტენებს დაეწერება ბათილობის საფუძველი „მეტი ბიულეტენი“) და დაემატება ძირითად საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობებს.

3. თუ გადასატან საარჩევნო ყუთში სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ან დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენი აღმოჩნდა, ცალკე დაიდება და ძირითად ყუთში აღმოჩენილ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამის რაოდენობებს დაემატება.

ზემოთ აღნიშნული პირველი და მე-2 გარემოების დადგომის შემთხვევაში, მიუთითეთ **საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს** შეადგინოს აქტი ფაქტის მითითებით, რომელსაც თქვენთან ერთად ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, მათ შორის, გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრები/სპეცჯგუფის წევრები. **კომისიის მდივანი**, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ აქტს ინახავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

- ☐ გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების პროცედურის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთი სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდეთ წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერი, რომელსაც **კომისიის მდივანთან ერთად** აწერთ ხელს და ამოწმებთ კომისიის ბეჭდით.
- ☐ წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერის ამობეჭდვის შემდეგ, მასში მითითებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია პლანშეტური კომპიუტერის მეშვეობით მიაწოდეთ ცესკოს. ამ მიზნით, ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოათავსეთ მეხსიერების ბარათი, რომელსაც შემდგომ მოათავსებთ პლანშეტურ კომპიუტერში. აპარატიდან წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერში არსებული მონაცემების მეხსიერების ბარათზე გადატანისთანავე დაასრულეთ აპარატის ფუნქციონირება.

  კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმაში, გრაფა N15-ის გასწვრივ აკეთებს შესაბამის მონიშვნას.
- ☐ მიუთითეთ კომისიის მდივანს, რომ სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილი წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერიშეინახოს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.
- ☐ უზრუნველყავით სპეციალური ელექტრონული აპარატიდან ამობეჭდილი წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.

გაითვალისწინეთ!

საჯარო გაცნობის მიზნით, წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერთან ერთად, თვალსაჩინო ადგილზე ასევე უნდა გამოაკრათ კომისიის მიერ შედგენილი აქტის დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობისას), რომელიც შედგა გადასატანი საარჩევნო ყუთიდან საარჩევნო ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსების პროცესში გამოვლენილი გარემოებების გამო (აპარატმა უკან დააბრუნა გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებული საარჩევნო ბიულეტენი; გადასატანი საარჩევნო ყუთიდან ამოღებულ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი).

თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან არ ამოიბეჭდება წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერი ან ამოიბეჭდება ტექნიკური წუნის მქონე ამონაწერი, ასეთ შემთხვევაში შეუფერხებლად გრძელდება ხმების დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცედურები.

- ☐ პლანშეტური კომპიუტერის მეშვეობით უზრუნველყავით ცესკოსთვის წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერში მითითებული მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიაწოდება. ამ მიზნით პლანშეტურ კომპიუტერთან დააკავშირეთ მეხსიერების ბარათი, რომელზეც გადატანილია წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერში არსებული მონაცემები.

გაითვალისწინეთ!

- ✔ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პლანშეტური კომპიუტერის ტექნიკური ხარვეზი (პრობლემა შეექმნა წინასწარი შედეგების გადმოცემის აპლიკაციას ან სხვა) და ვერ მოხერხდა ხარვეზის გამოსწორება ასეთ შემთხვევაში, წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერში მითითებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია გადააგზავნეთ თქვენ მიერ განსაზღვრული პირის ხელთ არსებული სხვა ტექნიკური საშუალებით (მაგ: სმარტფონი) საოლქო საარჩევნო

კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პირთან (საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები, ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) ან ცესკოს შესაბამის უფლებამოსილ პირთან (საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის თანამშრომელი).

✔ იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო უბანზე არ არის მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის უწყვეტი კავშირი, ასეთ შემთხვევაში, წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ამონაწერში მითითებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია ცესკოს შეიძლება მიეწოდოს კენჭისყრის შენობის გარე პერიმეტრიდან.

- ☐ ხმის დათვლის პროცედურის დაწყების მიზნით, კომისიის წევრებს შორის ჩაატარეთ წილისყრა ოთხი მთვლელის გამოსავლენად. **კომისიის მდივანს** წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.
- ☐ ჩაატარეთ წილისყრა საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან არაუმეტეს 2 წარმომადგენლის გამოსავლენად, რომლებიც მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში. **გახსოვდეთ,** წილისყრაში არ მონაწილეობენ იმ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა მიერ დანიშნული კომისიის წევრებიც არიან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები. **კომისიის მდივანს** წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

ყურადღება!

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის დღეს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რაოდენობა გამოსავლენი წარმომადგენლების რაოდენობას არ აღემატება, ასეთ შემთხვევაში საარჩევნო უბანზე მყოფ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს ავტომატურად ენიჭებათ უფლებამოსილება, კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოვლენილ მთვლელებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში. ამასთან, მთვლელების გამოვლენის მიზნით ჩასატარებელ წილისყრაში არ მიიღებენ მონაწილეობას იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნული კომისიის წევრები, რომლების წარმომადგენლებსაც ავტომატურად მიენიჭათ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში მონაწილეობის უფლებამოსილება.

- ☐ თუ დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩევენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესის მეთვალყურე პირებს, დამკვირვებელთა შორის ჩაატარეთ წილისყრა 2 მეთვალყურის გამოსავლენად. **კომისიის მდივანს** შესაბამისი მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.
- ☐ მოაწყვეთ უბანი ხმების დასათვლელად. მთვლელების მაგიდასთან მიიტანეთ:
  - ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი საბოლოო ანგარიში;
  - გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
  - გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
  - ძირითადი საარჩევნო ყუთები.

ყურადღება!

საარჩევნო უბანში, სადაც კენჭისყრის პროცესი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გარეშე წარიმართა, კომისიის თავმჯდომარემ მთვლელების მაგიდასთან ასევე უნდა მიიტანოს კომისიისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა ერთიანი სიები, ამომრჩეველთა სპეციალური სია (ასეთის არსებობისას).

- ☐ მიუთითეთ მთვლელებს, დაითვალონ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

  მიუთითეთ საუბნო საარჩევნო **კომისიის მდივანს,** კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობა დაუყოვნებლივ შეიტანოს კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმსა და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

ყურადღება!

კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობა დგინდება ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი საბოლოო ანგარიშის მონაცემების, ასევე, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით დათვლილი ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრების/სპეცჯგუფის წევრების მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემების გათვალისწინებით (ასეთის არსებობისას).

თუ კენჭისყრის პროცესი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გარეშე წარიმართა, მთვლელები კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობის დადგენის მიზნით ითვლიან ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას ყველა სახის სიაში. ამასთან, კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საბოლოო რაოდენობის დადგენის მიზნით მთვლელებმა უნდა გაითვალისწინონ ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრების რაოდენობა და გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრების/სპეცჯგუფის წევრების მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები (ასეთის არსებობისას).

- ☐ მიუთითეთ **კომისიის მდივანს** ცალ-ცალკე პაკეტებში მოათავსოს ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები. **კომისიის მდივანმა** პაკეტში მოთავსებამდე გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს უნდა ჩამოაჭრას კუთხე. პაკეტებზე მიეთითება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, საარჩევნო დოკუმენტაციის სახე. პაკეტები ილუქება, დალუქვის ზოლზე ხელი მოაწერეთ **მთვლელებთან ერთად.**

გახსოვდეთ!

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პროცესი ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გარეშე წარიმართა, ცალ-ცალკე პაკეტებში ასევე უნდა დაილუქოს ამომრჩეველთა ერთიანი სია, ამომრჩეველთა სპეციალური სია (ასეთის არსებობისას).

კომისიის თავმჯდომარე პასუხისმგებელია საარჩევნო დოკუმენტაციის დადგენილი წესის შესაბამისად დალუქვაზე.

- ☐ შეამოწმეთ ძირითადი საარჩევნო ყუთების ლუქების მთლიანობა. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, გახსენით ძირითადი საარჩევნო ყუთები.

ყურადღება!

თუ საარჩევნო ყუთების შემოწმებისას ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (აღნიშნული ფაქტი დაუყოვნებლივ ეცნობება საოლქო საარჩევნო კომისიას). წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი/ყუთები ილუქება და კომისიის განკარგულებით გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

- ☐ მიუთითეთ **მთვლელებს** ერთმანეთში შეურიონ ძირითადი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი საარჩევნო ბიულეტენები და დაიწყონ საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება/დათვლის პროცესი, შემდეგი წესის დაცვით: პირველი მთვლელი იღებს საარჩევნო

ბიულეტენს და აცხადებს ვისთვისაა მიცემული ხმა, საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო სუბიექტების მიხედვით გადასცემს მეორე და მესამე მთვლელს, ხოლო მეოთხე მთვლელს გადასცემს ბათილ საარჩევნო ბიულეტენებს (ასეთის არსებობისას).

- საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების შემდეგ მიუთითეთ **მთვლელებს** დაითვალონ: ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები; თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმები.
- გამოაცხადეთ თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. **კომისიის მდივანთან ერთად** შეამოწმეთ მონაცემების სისწორე.

ყურადღება!
იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა მეტია საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების ჯამზე, მიუთითეთ მთვლელებს ხელახლა გადათვალონ მონაცემები.

კომისიის მდივანმა დათვლის შედეგები უნდა შეიტანოს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში.

- საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შემდეგ, მიუთითეთ **მთვლელებს,** ცალ-ცალკე პაკეტებად დალუქონ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები (მათ ეწერება „ბათილია“), საარჩევნო სუბიექტების კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტები.

  თითოეული საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე უნდა დააწეროთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, სუბიექტის მონაცემები (სახელი და გვარი) და საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

  ბათილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე უნდა დააწეროთ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დასახელება და ნომერი, ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

  დალუქულ პაკეტებს დალუქვის ზოლზე ხელი მოაწერეთ მთვლელებთან ერთად.

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა

გაითვალისწინეთ!

საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები დასტურდება მხოლოდ საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმით.

კომისიის მდივანი კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომლის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს კომისიის წევრების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები.

კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანზე. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი უნდა დამოწმდეს კომისიის **სპეციალური ბეჭდით.** კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს **კომისიის მდივანი** რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში გასული დოკუმენტაციის ნაწილში.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება ცესკოს, პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით. ამ მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პლანშეტური კომპიუტერით გადაიღებს და ცესკოში გადააგზავნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლს.

გაითვალისწინეთ!

- ✔ იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო უბანზე არ არის მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის უწყვეტი კავშირი, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი ცესკოს შეიძლება მიეწოდოს კენჭისყრის შენობის გარე პერიმეტრიდან, ან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი უფლებამოსილი პირების მიერ სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს მის ატვირთვას ელექტრონული მართვის სისტემაში.
- ✔ იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პლანშეტური კომპიუტერის ტექნიკური ხარვეზი (პრობლემა შეექმნა ცესკოს აპლიკაციას, რომლის მეშვეობითაც იგზავნება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი) და ვერ მოხერხდა ხარვეზის გამოსწორება, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირების მიერ სხვა საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს მის ატვირთვას ელექტრონული მართვის სისტემაში.

საუბნო საარჩევნო კომისია ასევე ვალდებულია, პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით გადაიღოს და ცესკოში გადააგზავნოს: კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის, განსხვავებული აზრის დოკუმენტის, კომისიის მდივნის/კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებებისა და გადასატანი საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების ძირითად საარჩევნო ყუთში მოთავსებისას კომისიის მიერ შედგენილი აქტის ფოტოასლი - ასეთი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში.

აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება.

> კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და შესწორების ოქმის შედგენის წესი იხილეთ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციაში - ნაწილი III, თავი III, ქვეთავი „კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა“.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის და შესწორების ოქმის (არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლების გაცემისას (მოთხოვნის შემთხვევაში) **კომისიის მდივანთან ერთად** ხელი მოაწერეთ და დაამოწმეთ კომისიის **სპეციალური ბეჭდით.** ფოტოასლების მიმღები პირი ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით ადასტურებს მის მიღებას.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან/შესწორების ოქმთან დაკავშირებული კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში.

ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ **კომისიის მდივანთან ერთად** დახურეთ სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი დაამოწმეთ ხელმოწერებით და საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭდით.

სარეგისტრაციო ჟურნალი და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი **არ ილუქება.**

საოლქო საარჩევნო კომისიისთვის საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის გადაცემა

- ☐ დალუქეთ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი და მასთან ერთად:
  - ✔ განცხადებები/საჩივრები (ასეთის არსებობისას);
  - ✔ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან/აპარატებიდან ამობეჭდილი ანგარიში/ანგარიშები (საწყისი ანგარიში, რომლითაც დასტურდება, რომ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებით არცერთი ამომრჩევლის ვერიფიკაცია არ მომხდარა და საბოლოო ანგარიში);
  - ✔ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატიდან/აპარატებიდან ამონაბეჭდები (დასტური, რომ საარჩევნო ყუთების დალუქვამდე ამომრჩევლებს ხმა არ მიუციათ და წინასწარი შედეგების შესახებ კონსოლიდირებული ამონაწერი).
- ☐ დალუქეთ კომისიის სპეციალური ბეჭედი (კომისიის სპეციალური ბეჭდის დალუქულ პაკეტს კომისიის ყველა წევრი აწერს ხელს).

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, შესწორების ოქმი (ასეთის არსებობისას), განსხვავებული აზრის ამსახველი დოკუმენტი (ასეთის არსებობისას), კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებები (ასეთის არსებობისას), სარეგისტრაციო ჟურნალი, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის დალუქული კონვერტი და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის აუდიტის დადასტურების ფორმა **გადაეცით საოლქო საარჩევნო კომისიას.**

გახსოვდეთ, კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიიდან ინვენტარისა და სხვა შესაბამისი მასალის ტრანსპორტირება განხორციელდება საწყობში.

ყურადღება მიქციეთ, რომ ჩალაგება განხორციელდეს საკონტროლო ნუსხის მიხედვით. პასუხისმგებელი ხართ საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადასაცემი ინვენტარისა და დოკუმენტაციის წინასწარ განსაზღვრულ ყუთებში/ტომრებში ჩალაგების პროცესის სწორად წარმართვაზე.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ზედამხედველობით ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატების შესაბამის შესაფუთ ყუთებში ჩალაგებას უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე მყოფი ტექნიკური პირი.